ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #5

ერთის მხრივ შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი ს.კ. 234237607 მისამართი: მარნეული, რუსთაველის ქ. №73; მომსახურე ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: **LBRTGE22**; ა/ა **GE85LB 0113 1530 0010 9001**; (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის გრიგოლ ჯალაღონიას სახით

და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები",ს.კ. 202198754; მისამართი: 0186, თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N8; მომსახურე ბანკი ს.ს. „თიბისი ბანკი" ; ბანკის კოდი TBCBGE022ა/ა GE41TB 0600 0000 2746 7795 (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის გრიგოლ გრძელიშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად მონეტარული ზღვრების დაცვით გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
   1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **SuperFin 6"** დამკვეთის ვებ-ორგანიზაციებისთვის მონაცემების შესანახად დამატებით 2 GB (გიგაბაიტი) მეხსიერების შესყიდვა.
   CPV48900000
2. ხელშეკრულების ღირებულება
   2.1. მისაწოდებელი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს: 237.6 (ორასოცდაჩვიდმეტი და ექვსი) ლარი.

   საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

   2.2. მომსახურება მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული.
3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
   3.1. მიმწოდებელი ვალდებულია 31.12.2024 წლამდე განახორციელოს 1.1. პუნქტში აღნიშნული მომსახურების მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურება ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).
   3.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული მომსახურების ღირებულება.
4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი
   4.1. საქონლის მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.
5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
   5.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შ.პ.ს. "მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი"-ს ფინანსური მენეჯერი მანუჩარ დვალი.
6. მიწოდებული მომსახურების ხარისხი და გარანტია
   6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული მომსახურება იქნება უნაკლო და არ გამოავლენს ხარვეზს.
7. ანგარიშსწორება
   7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
   7.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
8. ფასები
   8.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
   8.2. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს.
9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02% ოდენობით.

11.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

11.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

13. დავების გაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 31.01.2025 წლამდე.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია:	მიმწოდებელი:
შ.პ.ს. "მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი"	შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები",
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 73	მისამართი: 0186, თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N8
ს.კ. 234237607	ს/კ 202198754
მომსახურე ბანკი: s/s ,,ლიბერთი ბანკი".	მომსახურე ბანკი: ს.ს. თიბისი ბანკი" ბანკის
ბანკის კოდი: **LBRTGE22**; ა/ა **GE85LB 0113 1530 0010 9001**;	კოდი: TBCBGE022
	ა/ა GE41TB 0600 0000 2746 7795
დირექტორი:	დირექტორი:
——————————— /გრიგოლ ჯალაღონია/	---------- / გრიგოლ გრძლიშვილი/
(ბ.ა.)	(ბ.ა.)

Grigoli Jalagonia

Подписано цифровой подписью: Grigoli Jalagonia
Дата: 2024.01.12 16:16:08 +04'00'